სარჩევი

1. შესავალი

2. მისია, ხედვა და ღირებულებები

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

4. სიტუაციური ანალიზი

5. SWOT ანალიზი

6. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.

7. დანართები

სკოლის სტრატეგიული მიზნები:

ა. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა;

ბ. თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

გ. სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად

დ. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

1. შესავალი

ქ.რუსთავის კერძო სკოლა შპს "მილენიუმი" დაარსდა 2000 წელს. იგი დააფუძნა შპს "ნ & ნ 2000"-მა.

შპს „მილენიუმის “ 2023-2030 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანია, განსაზღვროს ის სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი 7 წლის განმავლობაში 2023-2024 სასწავლო წლიდან.

სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, SWOT ანალიზით განსაზღვრული სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების საფუძველზე.

შპს „მილენიუმის“ განვითარების სტრატეგიული გეგმა მოწოდებულია ხელი შეუწყოს სკოლის მართვის, ძირითადი საქმიანობისა და ორგანიზაციული განვითარების შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას.

სკოლა მიიჩნევს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება ხელს შეუწყობს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, დასახული ამოცანებისა და მათი მიღწევის გზების პოპულარიზაციას.

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2. მისია, ხედვა და ღირებულებები

სკოლის მისიაა აღზარდოს თანამედროვე ცოდნითა და ეროვნული თვითშეგნებით აღჭურვილი შემოქმედი მოქალაქე, რომელიც წარმატებული იქნება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2030 წლისთვის სკოლა თავს ხედავს, როგორც აღიარებულ და წარმატებულ სასწავლო დაწესებულებას, რომელიც გამოირჩევა სწავლა-სწავლების პროცესის ინოვაციურობით, ორგანიზაციული კულტურით, სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებათა პატივისცემითა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა ხელმძღვანელობს ფუნდამენტური ღირებულებებით:

- სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა; ამ პროცესში კრეატიულობისა და ინოვაციურობის წახალისება;
- ღიაობა და გამჭვირვალობა;
- პროფესიონალიზმი და მუდმივი განვითარებისაკენ სწრაფვა;
- თანამშრომლობა, გუნდურობა და პასუხისმგებლობა;
- მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და თანასწორობა.


3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მუშავდება გუნდურად, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობით, ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, წინა წლების სამოქმედო გეგმების შეფასებისა და დასკვნების გათვალისწინებით.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექციისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

- ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა;
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- შესრულების მონიტორინგი.



ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი

1. სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. ასევე მუშავდება სკოლის შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

2. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციური ანალიზი, ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება.

3. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და პედაგოგიურ საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას.

4. შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, რომელიც ასევე მოიცავს გასულ წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხს, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის/გეგმების განსაზღვრაში.

მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა

1. სკოლის მისია და ხედვა წარმოადენს სტრატეგიული განვითარების პროცესში გამოყენებულ აუცილებელ კომპონენტებს. მისია განსაზღვრავს სკოლის მთავარ მიმართულებებს, ხედვა კი არის სკოლის წარმოდგენა სასურველი, იდეალური მომავლის/განვითარების შესახებ. ორგანიზაციული განვიტარების სტრატეგია (სტრატეგიული გეგმა) გამომდინარეობს ორგანიზაციის ხედვიდან და აზუსტებს მას კონკრეტული მიზნებით. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიიდან. მასში ჩაშლილია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები უფრო მცირე და შედარებით ადვილად მართვად კომპონენტებად.

2. სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით ხდება არსებული ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა. მოცემულ ეტაპზე უნდა მოხდეს სკოლის როლისა და ინსტიტუციური განვითარების ხედვის გააზრება, ზოგადი განათლების მიზნებთან თანხვედრა და ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი სინქრონიზაცია. პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც სასკოლო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას.

3. მისიის, ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიმართება არის შემდეგი:



სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება

1. სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გააზრებით, ბაზარზე არსებული ტენდენციების გაანალიზებითა და ზოგადი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით დაწესებულების ადმინისტრაცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე მის განხილვასა და უკუკავშირის მიღებას. ამის საფუძველზე ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის შემუშავება.

2. სტრატეგია არის ორგანიზაციის მიერ მრავალწლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულება. მასში განისაზღვრება, რა მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა სურს სკოლას.

3. სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს ასახავს და პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული წლის ბოლომდე იმისათვის, რომ სკოლამ საბოლოოდ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს.

სამოქმედო გეგმის შემუშავება


1. სტრატეგიული მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირება. სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირებაში ჩართულია ყველა ის პირი, რომელიც

პასუხისმგებელია გეგმაში ასახული ამოცანის განხორციელებაზე. სამოქმედო გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- ამოცანების ჩამონათვალს;
- შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს;
- შესრულების ვადებს;
- შესრულების ინდიკატორებს.

2. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჯარო განხილვების ორგანიზებასა (ვებგვერდი, კითხვარები) და უკუკავშირის გათვალისწინებას, რის შემდეგაც ხდება სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის დამტკიცება სკოლის დირექტორის მიერ.

3. დაგეგმვის ციკლი შემდეგნაირია:



შესრულების მონიტორინგი

1. სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური სისტემა სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაცაა. ის ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2. ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან. ორივე მათგანი ეფექტური მართვის განუყოფელი ელემენტია: თითოეული ინდივიდუალური ხასიათისაა, თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთს ავსებს. მონიტორინგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული

ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი. შეფასება კი წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლიმენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.

3. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.

4. სკოლის მიერ დასახული მიზნების შესრულების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაცია.

5. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას.

6. ინდიკატორებზე დაკვირვება მთლიანად სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. შესრულების ინდიკატორების დროული და სწორი რეალიზება გარანტიაა იმის, რომ დასახული გეგმა წარმატებით სრულდება.

7. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. შესაბამისად, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

8. სტრატეგიული გეგმის ამოცანების შესრულების მონიტორინგისათვის არსებობს ანგარიშის ფორმა. იხ. დანართი N 1

8. სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგისათვის არსებობს აქტივობების შესრულების სტატუსი და სპეციალური ფორმა. იხ. დანართი N 2

განხორციელებული აქტივობის შესრულების სტატუსი:

1. განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;

2. განხორციელების პროცესი მიმდინარეობს;

3. განხორციელების პროცესი შეჩერებულია;

4. განხორციელების პროცესი შეწყვეტილია;

5. განხორციელების პროცესი დასრულებულია.

4. სიტუაციური ანალიზი

მოცემული მომენტისათვის სკოლა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. დაწესებულება ფუნქციონირებს ნაქირავებ ფართში. მიმდინარეობს სკოლის კუთვნილი შენობის რეკონსტრუქციის პროცესი. ამ შენობაში გადასვლას სკოლა 2024-2025 სასწავლო წლიდან ფიქრობს.

უკანასკნელ დროს ნახტომისებურად გაიზარდა კონკურენციის მაჩვენებელი. ბაზარზე ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამოჩნდნენ, რაც ჩვენი სკოლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და არსებით ძალისხმევას მოითხოვს.

კვლავ გრძელდება კადრების გადინების პროცესი. შპს „მილენიუმი“ ასრულებს ქართული კანონმდებლობით განსაზღვრულ მასწავლებელთა აუცილებელი კომპეტენციის დაცვის ვალდებულებას - მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სერტიფიცირებული და კომპეტენტური კადრია, გვყავს წამყვანი მასწავლებლებიც, ყოველწლიურად ვმუშაობთ მაძიებელ მასწავლებელებთანაც - მაგრამ მაღალი თამასის შენარჩუნება ყოველწლიურად უფრო ძნელი ხდება.

სკოლა მუშაობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცედურებზე. პროცესის მიმდინარეობის წარმატებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კომპეტენცია, თანამშრომლობა და გუნდურობა.

5. SWOT ანალიზი






სკოლის შესაძლებლობისა და SWOT ანალიზის მონაცემების, სკოლის მიერ განცხადებული მისიისა და ხედვის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით 2023-2030 წელს სკოლა „მილენიუმი“ იმუშავებს შემდეგი ოთხი სტრატეგიული მიმართულებით:

- თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა;
- თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

- სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად
- სკოლის ორგანიზაციული კულტურის განვითარება.

სტრატეგიული გეგმის ჩარჩო

სტრატეგიული მიმართულება	**თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა**													პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული	
სტრატეგიული მიზანი N1															
ამოცანები	**პერიოდი**														
	2023-2024	**2024-2025**		**2025-2026**		**2026-2027**		**2027-2028**		**2028-2029**		**2029-2030**			
	2023	**2024**	**2025**	**2025**	**2026**	**2026**	**2027**	**2027**	**2028**	**2028**	**2029**	**2029**	**2030**		
	სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა და განვითარება														
სამივე საფეხურის მოსწავლეთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმის მესამე თაობის ესგ-სთან შესაბამისობაში მოყვანა და განვითარება														სკოლის დირექცია; ხარისხის განვითარების ჯგუფი; საგნობრივი კათედრები.	
სასკოლო შეფასების სისტემის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა, კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება; შეფასების შედეგების გამოყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.														სკოლის დირექცია; ხარისხის განვითარების ჯგუფი; საგნობრივი კათედრები.	
სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართვა სასკოლო სასწავლო														სკოლის დირექცია;	

გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში.															
საჭიროების შემთხვევაში სკოლის სახელმძღვანელო დოკუმენტების გადახედვა და შეცვლა.														სკოლის დირექცია;	
სტრატეგიული მიზანი N 2		სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და აკადემიური მოსწრების ამაღლება													
სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების, ლაბორატორიების, თვალსაჩინოებებისა და სხვა რესურსების აქტიური გამოყენება														ხარისხის მართვის ჯგუფი; IT მენეჯერი	
მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ღონისძიებების ხელშეწყობა														სკოლის დირექცია; საგნობრივი კათედრები	
სასკოლო კლუბების, წრეების და სხვა არაფორმალური განათლების მამოტივირებელი ღონისძიებების გაფართოება და განვითარება														სკოლის დირექცია; საგნობრივი კათედრები	
მოსწავლეთა წამახალისებელი აქტივობების (დაჯილდოება, სტიპენდია და სხვ.) დანერგვა.														სკოლის დირექცია	
		სწავლა-სწავლების პროცესის მართვა													

სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის, არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგების ღონისძიებათა დანერგვა და განვითარება																ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
სწავლების ახალი სტრატეგიების, კრეატიული და ინოვაციური მიდგომების წახალისება და ხელშეწყობა																ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით შეფასების მუდმივი გამოყენების უზრუნველყოფა																ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი მასში საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით.																სკოლის დირექცია; ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
II სტრატეგიული მიმართულება		**თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;**															
სტრატეგიული მიზანი N 1		ადამიანური რესურსების მართვა															
ამოცანები																	
კანონმდებლობის თანახმად, თანამშრომელთა შერჩევის წესის შესაბამისი ობიექტური და რეალისტური																სკოლის დირექცია	

საკადრო სისტემის შექმნა.																
ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და კეთილგანწყობილი ურთიერთობის სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების ხელშეწყობა.															სკოლის დირექცია; ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
სკოლის თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.															სკოლის დირექცია	
სტრატეგიული მიზანი N2		თანამშრომელთა პროფესიული განვითარება														
ამოცანები																
გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (ურთიერთდასწრება, ტრენინგი, კონფერენცია, მენტორის ინსტიტუტი და სხვ.) მონაწილეობა															ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	

შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება															სკოლის დირექცია; ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის ინდივიდულური რეკომენდაციების შემუშავება.															სკოლის დირექცია; ხარისხის მართვის ჯგუფი; საგნობრივი კათედრები	
სტრატეგიული მიზანი N 3		კომფორტული სასკოლო გარემოს შექმნა														
ამოცანები																
სკოლაში თანამედროვე ტიპის სამუშაო და დასასვენებელი სივრცეების გამართვა															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია	
გუნდურობის განსამტკიცებლად ერთობლივი შეჭიდულობის ღონიძიებების (ექსკურსია, კორპორატიული წვეულება, სპორტული შეჯიბრებები და სხვ.) მოწყობა															სკოლის დირექცია;	
სტრატეგიული მიმართულება		**თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება**														
სტრატეგიული მიზანი N 1		სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურული და მატერალური რესურსით														
ამოცანები																
სკოლის კუთვნილი შენობის რეკონსტრუქციისა და რემონტის დასრულება															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია	

არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის განახლება															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა.	
კომპიუტერული ტექნიკის განახლება, მოდერნიზაცია															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია; IT მენეჯერი	
ციფრული ტექნოლოგიების ლაბორატორიის მოწყობა															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია; IT მენეჯერი	
მოსწავლეთა დასვენებისათვის კომფორტული სივრცის მოწყობა															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია;	
ვიზიტორი მშობლებისათვის კომფორტული მისაღების მოწყობა															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია;	
სკოლის ბიბლიოთეკის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და წიგნადი ფონდის განახლება															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია; სკოლის ბიბლიოთეკარი	
სასკოლო ავეჯის განახლება															დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია;	
სტრატეგიული მიზანი N2		თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა														
ამოცანები																
ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განახლება															სკოლის დირექცია;	

სამედიცინო დახმარების სისტემის შემდგომი განვითარება															სკოლის დირექცია, სკოლის ექიმი	
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა															სკოლის დირექცია, სკოლის ექიმი	
მონიტორინგის ვიდეოკამერების განახლება სკოლის მთელ პერიმეტრზე და შენობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.															სკოლის დირექცია; IT მენეჯერი.	
სკოლაში შემოსულ პირთა, მათ შორის მოსწავლეთა, ელექტრონული იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის სისტემის შემდგომი განვითარება															სკოლის დირექცია; IT მენეჯერი.	
სტარტეგიული მიმართულება		**სკოლის ორგანიზაციული განვითარება**														
სტარტეგიული მიზანი N1		სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და განვითარება														
ამოცანები																
სტრატეგიული გეგმის შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა															სკოლის დირექცია; ხარისხის განვითარების ჯგუფი; სკოლის ბუღალტერი	
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა																
სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სკოლის განვითარების ერწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა და განვითარება															სკოლის დირექცია; ხარისხის განვითარების ჯგუფი; სკოლის ბუღალტერი	

სტრატეგიული მიზანი N2		ანგარიშვალდებულება და ბიუჯეტის ფორმირება		
ამოცანები				
სხვადასხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ანგარიშვალდებულების ამოცანების განხორციელება			სკოლის დირექცია; ადმინისტრატორი; სკოლის ბუღალტერი	
სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი			სკოლის დირექცია; სკოლის ბუღალტერი	
დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიების ღონისძიებების განხორციელება			დამფუძნებელი პარტნიორი; სკოლის დირექცია	
სტრატეგიული მიზანი N2		დემოკრატიის პრინციპების დანეგვა სკოლის მმართველობაში		
ამოცანები				
მოსწავლეთა მშობლების სათათბიროს ფორმირება			სკოლის დირექცია; ადმინისტრატორი	
მოსწავლეთა თვითმმართველობის ფორმირების ხელშეწყობა			სკოლის დირექცია	

დანართი N 1

სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიშის ფორმა

საანგარიშო პერიოდი 20 _____ წელი

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

(მონიშნეთ შესაბამისი კვარტალი)

სტრუქტურული ერთეულის დასახელება: _____
უშუალოდ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი _____
საკონტაქტო მონაცემები
ელ. ფოსტა _____
მობილური _____

სტრატეგიული მიმართულება	
სტრატეგიული მიზანი	
ამოცანა	
პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	
ჩართული მხარეები	
შესრულებული სამუშაოს აღწერა	
აქტივობის სტატუსი	
შეუსრულებლობის მიზეზი და შესრულების სავარაუდო თარიღი	
მტკიცებულება	

დანართი N 2

სამოქმედო გეგმის ამოცანათა განხორციელების მონიტორინგი

ამოცანა N	ინდიკატორი	სტატუსი					რეკომენდაცია
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							
21							
22							
23							
24							
25							
26							
27							